

შპს როდე ნილსენ-ის მუდმივი დაწესებულება საქართველოში ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 21.05.2021-31.12.2021 პერიოდისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 21.05.2021-31.12.2021 პერიოდისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. დაწესებულების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
5. სავაჭრო მოთხოვნები	9
6. გადახდილი ავანსები	9
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	10
8. საწესდებო კაპიტალი	10
9. შემოსავალი მომსახურებიდან.....	10
10. მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი.....	10
11. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	11
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	11

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-21
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	4	9,507,506
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,462,067
გადახდილი ავანსები	6	3,828,539
მარაგები		196,213
სულ მოკლევადიანი აქტივები		14,994,325
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები		291,252
სულ გრძელვადიანი აქტივები		291,252
სულ აქტივები		15,285,577
ვალდებულებები და კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	7	829,743
საგადასახადო ვალდებულებები		738,279
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		5,187
სულ ვალდებულებები		1,573,209
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	8	392,000
გაუნაწილებელი მოგება		13,320,368
სულ საკუთარი კაპიტალი		13,712,368
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,285,577

დირექტორი



ივო ვეიდერ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-12-21
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	4	9,507,506
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,462,067
გადახდილი ავანსები	6	3,828,539
მარაგები		196,213
სულ მოკლევადიანი აქტივები		14,994,325
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები		291,252
სულ გრძელვადიანი აქტივები		291,252
სულ აქტივები		15,285,577
ვალდებულებები და კაპიტალი		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	7	829,743
საგადასახადო ვალდებულებები		738,279
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		5,187
სულ ვალდებულებები		1,573,209
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	8	392,000
გაუნაწილებელი მოგება		13,320,368
სულ საკუთარი კაპიტალი		13,712,368
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,285,577

დირექტორი -----

ივო ვეიდერ

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 21.05.2021-31.12.2021 პერიოდისთვის

	შენიშვნა	31-12-21
შემოსავალი მომსახურებიდან	9	19,468,956
მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი	10	(5,619,134)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(157,051)
ხელფასები და სხვა სარგებელი		(206,320)
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი		(10,242)
სხვა შემოსავლები		13,565
სხვა ხარჯები		(19,520)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		13,470,254
საპროცენტო შემოსავალი		19,781
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(169,667)
მოგება დაბეგვრამდე		13,320,368
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		13,320,368

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 21.05.2021-31.12.2021 პერიოდისთვის

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 21 მაისი		-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	8	392,000	-	392,000
წმინდა მოგება		-	13,320,368	13,320,368
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი		392,000	13,320,368	13,712,368

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს როდე ნილსენ-ის მუდმივი დაწესებულება საქართველოში რეგისტრირებულია 2021 წლის 21 მაისს შემდეგ მისამართზე: ვაკე-საბურთალო / ნუცუბიდის II მკრ. IV კვ. II კორპ. საცხ. ფართი 76. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 205442467. კომპანია არის 1968 წელს დანიაში დაფუძნებული საწარმოს „Rohde Nielsen A/S“-ის მუდმივი დაწესებულება საქართველოში (შემდგომში დაწესებულება).

დაწესებულების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფსკერდარმავეებითი და სარეკლამაციო სამუშაოების განხორციელება. დაწესებულების ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია ივო ვეიდერ 36303110292.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ დაწესებულება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. დაწესებულების მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება დაწესებულების ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. დაწესებულების მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

დაწესებულება ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე. მის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040
2020 წლის 31 დეკემბერი	3.2766	4.0233

3.2 ძირითადი საშუალებები

დაწესებულება ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	12.5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალება	5-10

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს დაწესებულებაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მარაგები

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც განკუთვნილია მომსახურების გასაწევად. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) მარაგის შენახვის დანახარჯები; ბ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; გ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები.

3.4 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების

მიზანი იყო გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარება და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ, როცა ძველი მოდელის მიხედვით, კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი დარჩა, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

3.5 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.6 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.7 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

დაწესებულება ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს კომუნალურ, საკონსულტაციო, იჯარისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა დაწესებულების მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

დაწესებულებას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ფულის საბალანსო ნაშთი შეადგენდა 9,507,506 ლარს. აღნიშნული თანხა სრულად განთავსებულია ლარში საბანკო ანგარიშებზე.

5. სავაჭრო მოთხოვნები

2021 წლის ბოლოს დაწესებულებას ჰყავდა მხოლოდ 1 დებიტორი - კომპანია, რომლის დაკვეთითაც დაწესებულება ახორციელებდა ფოთში ფსკერდაღრმავებით სამუშაოებს და რომლის დავალიანება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1,462,067 ლარს.

6. გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები შედგება სხვადასხვა მომსახურებისა და შესასრულებელი სამუშაოებისთვის მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსებისგან. აღნიშნული ავანსების ხარჯში აღიარება მოხდება შესაბამისი მომსახურების მიღების შემდგომ. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადახდილი ავანსების საბალანსო ნაშთები შემდეგია:

გადახდილი ავანსები	31-12-21
მშობელი კომპანია	3,812,529
სხვა მომწოდებლები	16,010
სულ	3,828,539

მშობელ კომპანიაზე ავანსი გადახდილია ფოთის პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი ფსკერდაღრმავებითი სამუშაოებისთვის.

7. სავაჭრო ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების საბალანსო ნაშთი შემდეგია:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-21
საზღვაო ხომალდის გამქირავებელი კომპანია	630,955
სხვა მომწოდებლები	198,788
სულ	829,743

8. საწესდებო კაპიტალი

დაწესებულებამ 21.05.2021-31.12.2021 პერიოდში განახორციელა საწესდებო კაპიტალში 515,677 ლარის შეტანა და საწესდებო კაპიტალიდან 123,677 ლარის გატანა. შესაბამისად 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაწესებულების საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 392,000 ლარს.

9. შემოსავალი მომსახურებიდან

დაწესებულების შემოსავლის ძირითადი წყაროს შეადგენს ფოთში ჩატარებული პეის ტერმინალის ფსკერდაღრმავებითი სამუშაოების შედეგად მიღებული შემოსავლები. 21.05.2021 – 31.12.2021 პერიოდისთვის დაწესებულების შემოსავლები შემდეგია:

შემოსავალი მომსახურებიდან	21-05-21 - 31-12-21
ფოთის პროექტიდან შემოსავლები	19,345,279
სხვა შემოსავლები	123,677
სულ	19,468,956

10. მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი

საკუთარი მომსახურების გაწევისას, რიგ შემთხვევებში, როდე ნილსენი სარგებლობს მესამე მხარის მომსახურებებით. კერძოდ, დაწესებულება ახდენს სხვადასხვა მომსახურებისა და პროდუქციის შესყიდვას, როგორც იურიდიული ასევე, ფიზიკური პირებისგან. გარდა ამისა, განხორციელებული პროექტების ფარგლებში, დაწესებულებას უწევს საწვავის და სხვა მასალების შეძენა და უტილიზაცია.

ამ დანახარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

მომსახურების მომწოდებლებისა და მასალების დანახარჯი	21-05-21 - 31-12-21
საზღვაო ხომალდის დაქირავების ხარჯი	3,207,362
საწვავის ხარჯი	1,297,370
სხვა მომსახურებებისა და მასალების ხარჯი	1,114,402
სულ	5,619,134

11. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

11.1 გადახდილი ავანსები

2021 წელს დაწესებულებას ფოთის პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი ფსკერდარმაგვებითი სამუშაოებისთვის მშობელ კომპანიაზე გადახდილი ჰქონდა ავანსი, რომლის ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 3,812,529 ლარს.

11.2 მენეჯმენტის კომპენსაცია

2021 მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 69,288 ლარი.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 2022 წელს, მშობელმა კომპანიამ დაასრულა ფოთში სამუშაოები, რისთვისაც იყო გადახდილი ავანსი 2021 წელს და დაწესებულებას გამოუწერა შესაბამისი ინვოისი შესრულებული სამუშაოებისთვის.